

ს ა ძ ა რ თ ვ ე ლ ო

(19) ინტელექტუალური  
საკუთრების  
ეროვნული ცენტრი  
"საქპატენტი"



(11) **GE P 2008 4295 B**

(10) AP 2007 9917 A

(51) Int. Cl. (2006)

A 61 K 33/04

A 61 K 33/22

A 61 K 33/30

A 61 K 31/00

(12) **ბამობონებაზე პატენტის აღწერილობა**

(21) AP 2007 009917

(22) 2007 03 09

(24) 2007 03 09

(44) 2007 09 10 №17

(45) 2008 01 10 №1

(73) მზია ჯღარკავა (GE)  
გლდანის I მკრ. კორპ.3ა, ბ.8,  
0167, თბილისი (GE)

(56) GE 3878 (მ. ბარამიძე) 26.06.06

(72) მზია ჯღარკავა (GE)

(54) *კანის და კანძვევა ძროვილის ჩირქოვან-ანთეპითი დაგაღებების  
და მწერის ნაკბენის სამკურნალო მაღამო*

(57) მაღამო შეიცავს ბორაქსს, ბორის მჟავას, აცეტილსალიცილის მჟავას, ლე-  
ვომიციტინს, გოგირდს, თუთიის ოქსიდსა და ფუძეს.

მუხლები: 1 დამოუკიდებელი  
6 დამოკიდებული

GE P 2008 4295 B

## გამოგონებაზე პატენტის აღწერილობა

გამოგონება განეკუთვნება ფარმაცევტულ მრეწველობას და ეხება აკნეს, გამონაყარის და მწერის ნაკბენის სამკურნალო მაღამოებს.

ცნობილია გამონაყარის სამკურნალო მაღამო (GE 3878 (მ. ბარამიძე) 26.06.06), რომელიც შეიცავს ფუტკრის ცვილს, ფიჭვის ფისს, ცხოველურ ცხიმს, დინდგელსა და კანიფოლს.

აღნიშნული მაღამოს ნაკლია ის, რომ ის შედარებით ნაკლებეფექტურია, ამავდროულად არაა ცნობილი მისი გამოყენება აკნესა და მწერის ნაკბენის სამკურნალოდ.

ასევე, ცნობილია თვალის დაავადებების სამკურნალო მაღამო (RU 2116070 (Акрёрова С. и др.) 27.07.98), რომელიც შეიცავს პარა-ამინობენზოის მჟავას, ნატრიუმის ქლორიდს, ბორის მჟავას, ლევომიციტინსა და ფუძეს. ტექნიკის დონიდან ცნობილი არაა აღნიშნული მაღამოს გამოყენება კანის პათოლოგიების სამკურნალოდ.

ასევე, ცნობილია დამწვრობის სამკურნალო მაღამო (CN 1125139 (Zhang Jinan) 26.06.96), რომელიც შეიცავს ცეფალოსპორინს, ლევომიციტინს, ბორის მჟავას ან ბორაქსს, თუთიის ოქსიდს, B ვიტამინების კომპლექსს, სხვადასხვა ბალახეულ მცენარესა და ფუძეს. ტექნიკის დონიდან ცნობილი არაა აღნიშნული მაღამოს გამოყენება აკნეს, გამონაყარის და მწერის ნაკბენის სამკურნალოდ.

გამოგონების ტექნიკური შედეგია მკურნალობის ეფექტურობის ამაღლება და თერაპიული სპექტრის გაფართოება.

გამოგონების არსია ის, რომ მაღამო შეიცავს ბორაქსს, ბორის მჟავას, აცეტილსალიცილის მჟავას, ლევომიციტინს, გოგირდს, თუთიის ოქსიდსა და ფუძეს.

გამოგონების განხორციელების უპირატეს ვარიანტში მაღამო შეიცავს კომპონენტებს შემდეგი თანაფარდობით, მას.წილებში:

ბორაქსი	2,5-10
ბორის მჟავა	2,5-20
აცეტილსალიცილის მჟავა	3-10
ლევომიციტინი	3-20
გოგირდი	3-10

თუთიის ოქსიდი	5-15
ფუძე	80-120

მაღამო ფუძის სახით შეიძლება შეიცავდეს ფარმაცევტულ მრეწველობაში ცნობილ ნებისმიერ მატარებელს, რომელიც გამოიყენება მაღამოების შემადგენლობაში. გამოგონების განხორციელების უპირატეს ვარიანტში მაღამო შეიცავს ფუძის შემდეგი ვარიანტებს: 1. ვაზელინი, 2. ზეთუნის ზეთი და თაფლის სანთელი, 3. ზეთუნის ზეთი, თაფლის სანთელი და სპერმაცევიტი. იმ შემთხვევაში, როდესაც ფუძეა ზეთუნის ზეთი და თაფლის სანთელი, მაღამო შეიცავს მას.წილებში: 75-105 ზეთუნის ზეთს და 5-15 თაფლის სანთელს, ხოლო როდესაც ფუძეა ზეთუნის ზეთი, სპერმაცევიტი და თაფლის სანთელი, მაღამო შეიცავს მას.წილებში: 75-105 ზეთუნის ზეთს, 1-3 სპერმაცევიტს და 4-12 თაფლის სანთელს.

მაღამო მზადდება შემდეგნაირად: აცხელებენ ფუძეს, შემდეგ მასში თანმიმდევრულად შეაქვთ ბორაქსის, ბორის მუავას, აცეტილსალიცილის მუავას, ლევომიციტინის, გოგირდისა და თუთიის ოქსიდის ფხვნილები და ურევენ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე, რის შემდეგაც მიღებულ მასას ფილტრავენ, აფასობენ ჭურჭელში და აცივებენ. საბოლოოდ მიიღება თეთრი ფერის, სუსტი სპეციფიკური სუნის, ნახევრადმყარი კონსისტენციის მაღამო. მაღამო ინახება გრილ, ბნელ ადგილას, ვარგისია ერთი წელი.

#### მაგალითი 1

90 გ ზეთუნის ზეთს აცხელებენ, შეაქვთ მასში 10 გ თაფლის სანთელი და ურევენ სანთლის სრულ გადნობამდე. მიღებულ მასაში თანმიმდევრობით შეაქვთ 2,5 გ ბორაქსი, 2,5 გ ბორის მუავა, 3 გ აცეტილსალიცილის მუავა, 3 გ ლევომიციტინი, 3 გ გოგირდი და 5 გ თუთიის ოქსიდი და ურევენ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. მიღებულ მასას ფილტრავენ, აფასობენ ჭურჭელში და აცივებენ.

#### მაგალითი 2

90 გ ზეთუნის ზეთს აცხელებენ, შეაქვთ მასში 8 გ თაფლის სანთელი, 2 გ სპერმაცევიტი და ურევენ სრულ გადნობამდე. ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. მიღებულ მასაში თანმიმდევრობით შეაქვთ 7,5 გ ბორაქსი, 15 გ ბორის მუავა, 8 გ აცეტილსალიცილის მუავა, 15 გ ლევომიციტინი, 8 გ გოგირდი და 15 გ თუთიის ოქსიდი და ურევენ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. მიღებულ მასას ფილტრავენ, აფასობენ ჭურჭელში და აცივებენ.

#### მაგალითი 3

100 გ ვაზელინს აცხელებენ, შეაქვთ მასში თანმიმდევრობით 10 გ ბორაქსი, 20 გ ბორის მჟავა, 10 გ აცეტილსალიცილის მჟავა, 20 გ ლევომი-ცეტინი, 10 გ გოგირდი და 10 გ თუთიის ოქსიდი და ურევენ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. მიღებულ მასას ფილტრავენ, აფასობენ ჭურჭელში და აცივებენ.

მაღამოს თერაპიული ჩვენებები: აკნე, გამონაყარი, მწერის ნაკბენი (გან-საკუთრებით ეფექტურია კოლოს ნაკბენზე), ტროფიკული წყლული, წითელი ქარი.

მკურნალობის მიზნით დაზიანებულ ადგილს ადებენ მაღამოს ფენას დღეში 1-2-ჯერ. მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია პათოლოგიის ხასიათზე და დაავადებული ორგანიზმის მდგომარეობაზე და საშუალოდ შეადგენს 1-10 დღეს.

მკურნალობის კონკრეტული მაგალითები

მაგალითი 1

ავადმყოფი ი.დ., 14 წლის, დიაგნოზი: აკნე. ჩაიტარა მკურნალობა შემო-თავაზებული მაღამოთი. მკურნალობიდან 10 დღის შემდეგ ანთებად-ჩირქოვანი პროცესი ჩაქრა, შეშუპება დაცხრა, პათოლოგიური კერა მთლიანად გაქრა.

მაგალითი 2

ავადმყოფი ქ.ტ., 40 წლის, ქონდა გამონაყარი ტუჩზე. ჩაიტარა მკურნა-ლობა შემოთავაზებული მაღამოთი. მკურნალობიდან 7 დღის შემდეგ გამონა-ყარი მთლიანად გაქრა.

მაგალითი 3

ავადმყოფი ნ.ა., 45 წლის, ქონდა კოლოს ნაკბენი, აწუხებდა ქავილი, წვა. ჩაიტარა მკურნალობა შემოთავაზებული მაღამოთი. მაღამოს ერთჯერადი წასმის შემდეგ ჩივილი მოეხსნა, ჰიპერემია და შეშუპება გაქრა, პათოლო-გიური კერა მთლიანად აღაგდა.

მაგალითი 4

ავადმყოფი თ.ჩ., 70 წლის, დიაგნოზი: წითელი ქარი. ჩაიტარა მკურნა-ლობა შემოთავაზებული მაღამოთი. მკურნალობიდან 10 დღის შემდეგ მდგო-მარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

მაგალითი 5

ავადმყოფი ხ.ს., 59 წლის, დიაგნოზი: ტროფიკული წყლული. ჩაიტარა მკურნალობა შემოთავაზებული მაღამოთი. მკურნალობიდან 7 დღის შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ამრიგად, შემოთავაზებული მაღამო წარმოადგენს ეფექტურ, უსაფრთხო საშუალებას კანის, კანქვეშა ქსოვილის ჩირქოვან-ანთებითი დაავადებების და მწერის ნაკბენის სამკურნალოდ.

გამოგონების ფორმულა

1. კანის, კანქვეშა ქსოვილის ჩირქოვან-ანთებითი დაავადებების და მწერის ნაკბენის სამკურნალო მაღამო, რომელიც შეიცავს ბორაქსს, ბორის მჟავას, ლევომიციტინს, თუთიის ოქსიდსა და ფუძეს, განსხვავდება იმით, რომ დამატებით შეიცავს აცეტილსალიცილის მჟავასა და გოგირდს.

2. მაღამო, მ.1 მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ შეიცავს კომპონენტებს შემდეგი თანაფარდობით, მას. წილებში:

ბორაქსი	2,5-10
ბორის მჟავა	2,5-20
აცეტილსალიცილის მჟავა	3-10
ლევომიციტინი	3-20
გოგირდი	3-10
თუთიის ოქსიდი	5-15
ფუძე	80-120

3. მაღამო, მ.მ.1-2 მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ ფუძის სახით შეიცავს ვაზელინს.

4. მაღამო, მ.მ.1-2 მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ ფუძის სახით შეიცავს ზეითუნის ზეთსა და თაფლის სანთელს.

5. მაღამო, მ.4 მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ შეიცავს მას.წილებში: 75-105 ზეითუნის ზეთს და 5-15 თაფლის სანთელს.

6. მაღამო, მ.მ.1-2 მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ ფუძის სახით შეიცავს ზეითუნის ზეთს, სპერმაცევტსა და თაფლის სანთელს.

7. მაღამო, მ.6 მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ შეიცავს მას. წილებში: 75-105 ზეითუნის ზეთს, 1-3 სპერმაცევტს და 4-12 თაფლის სანთელს.